ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 თბილისი იანვარი 1963

ბიბეკ

გამოცემის მე-40 წელი, ფასი 20 კაპ

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონი ჩამორჩა მანქანების რემონტის საქმეში. ირღვევა ტრაქტორების რემონტის ვადები, მოუვლელობისა და უყურადღებობის შედეგად ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოდის მანქანების ცალკეული ნაწილები და კვანძები.

— ტალახში დაგვტოვეს გვერდებდალეწილი და, ალბათ, მაშინ მოვაგონდებით, როცა გახურებული ხვნა-თესვა დაიწყება!

ეფექსი კვალიფიკაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხერხებული კაცია გიორგი ჯიოშვილი, შნო ჰქონდა და მარიფათი, ქვას აიღებდა, ხელს არც კი მოუტეხდა და წვენს ისეც დაადენდა. ასეთი კაცი ხრიოკზე რომ გაიყვანო, იქ ირჩენს თავს. მანაც იცოდა, ყველაფრის თავი და თავი რომ თავია და თავით მუშაობდა და, უბრალო არითმეტიკით ისეთ საქმეებს ატრიალებდა, რომ თვითონაც სვებედნიერად ცხოვრობდა და თავის ჰამქარსაც ხელმწიფურად აცხოვრებდა.

ქარელის რაიკავშირთან არსებული დამზადების კანტორის გამგე გახლდათ გიორგი ბატონი და გარს მსგავსი მისნი ეხვევნენ თანამშრომლების სახით. ბოლო დროს საკომისიო ვაჭრობის საწარმოებლად, კოოპგასაღებსექცია რომ შეიქმნა, იმის უფროსობაც მას მიენდო და იშვებდა და იხარებდა ეს კვადრატში აყვანილი უფროსი.

ვაშლსა და ქლიავს, და ყოველგვარ ხილს, როგორც დღემდეა ცნობილი, სათანადო ხეები ისხამენ, გიორგის ხელში კი ამ ძვირფას ნაყოფებს ქაღალდიც ისხამდა, თუმცა, ეს რა გასაკვირია, ქაღალდიც ხომ, ასე თუ ისე, ხისგან მზადდება.

გიორგის, როგორც დამზადების კანტორის გამგეს, ხილი სახელმწიფოსთვის ჩასაბარებლად უნდა დაემზადებინა, ხოლო, როგორც კოოპგასაღებსექციის უფროსს, საკომისიო ვაჭრობისათვის, და, უპირველესად, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უნდა მოემარაგებინა, კოლმეურნე გლეხები ბაზარ-ბაზარ წოწიალისაგან გაეთავისუფლებინა და, ერთის სიტყვით, გაჭირვების ტალკვესობა გამოეჩინა. ასეთი იყო მისი მისია და ამ მისიის შესრულებას იგი მისებურადაც შეუდგა.

ჩემი რესპუბლიკის მშრომელები ვაშლით რომ ვამარაგო, რაღა დახლი დამიჯდება, ვალში ჩავვარდებიო, გაიფიქრა გიორგიმ და მოსკოვის ოლქის მომხმარებელთა კავშირის სასურსათო ბაზის ერთ წარმომადგენელს ისე დაუკავშირდა, თითქ ჭიპით გადაებაო, დადო და დადო მასთან ხელშეკრულებები, აგზავნა და აგზავნა ვაშლის ახალი და ახალი პარტიები, მხოლოდ ისე, რომ ვაშლში მოსკოვის ბაზრებში არსებულ ფასებზე 10-15 პროცენტით უფრო ძვირად გაურიგდა მოსკოველ კოლეგას. 1961-62 წლებში მის ზიერ დამზადებული 900 ტონა ვაშლიდან 700 ტონაზე მეტი ამ ხელშეკრულებებით გაგზავნა რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა და ათასები ჩაიჯიბეს თვითონაც, მისმა საწყობის გამგეებმაც და დამამზადებლებმაც.

ვთქვათ ერთ პარტიაში გიორგიმ გააგზავნა ოცი ტონა პირველხარისხოვანი მაღალფასდადებული ვაშლი. ვაშლი ჯერ კრასნოდარს არ გასცილებია, რომ გიორგი ჯიოშვილი, როგორც კოოპგასაღებსექციის უფროსი, ანგარიშს აბარებს გიორგი ჯიოშვილს, როგორც დამზადების კანტორის გამგეს, რომ გაიგზავნა 17 ტონა სტანდარტული ვაშლი, 2 ტონა არასტანდარტული, და 750 კგ წუნი, ხოლო 250 კგ ნარჩენი, ანუ ნაგავი. ვთქვათ და თუ სტანდარტული ვაშლი 2 მანეთი ღირს, არასტანდარტულის ფასი 60-70 კაპ. არ აღემატება, წუნი 6 კაპიკად გადის, ხოლო ნარჩენი უფასოა. ჯიოშვილის მიერ თვითნებურად ჩამოფასებული ასეთი სამ-სამი ტონა თუ უფრო მეტი რაოდენობის ვაშლის საფასური ჯიოშვილის ანგარიშში ჩადიოდა. ნარჩენის სახელწოდებით მონათლა ჯიოშვილმა და 1961-62 წლებში გაგზავნა 9 ტონა ვაშლი.

ქარელელი ჯიოშვილისა და მისი მოსკოველი თანამოაზრე კოლეგის ორმხრივი კომბინაციების წყალობით ჯიოშვილი ჯიბესქელად გრძნობდა თავს და, თავისი ყურმოჭრილი მონა-მორჩილი ჰამქრის შეშწეობით, სხვა სასარგებლო ოპერაციების ჩატარებით იყო დღენიადაგ გართული.

შეიძენდნენ კოლმეურნეობებიდან საღსალამათ, დარჩეულ ვაშლებს ნაღდ ანგარიშზე, მერე ცალმხრივ აქტს შეადგენდა ჯიოშვილი, ამდენი და ამდენი სტანდარტულია, ამდენი არასტანდარტული, ამდენი ტონა წუნი და ნარჩენი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს წვენის ქარხანასო. ჩაბარება ფიქტიური იყო, მაგრამ რამდენიმე ტონა ვაშლის მოგება ფაქტიური და, ცხადია, ბოლოს ეს ფიქტიური გადარჩევა ჯიოშვილმა დაკანონა კიდეც და ასეთ ოფიციალურ წერილობით ბრძანებას იძლეოდა: „შეადგინეთ გადარჩევის აქტი და ისე დახარისხეთ, რომ გადარიცხულ თანხას არ გადააჭარბოსო“.

ასე და ამგვარად, სხვადასხვა მაქინაციების შედეგად გიორგი ჯიოშვილი და მისი საწყობის გამგეები და დამამზადებლები: ო. ჯავახიშვილი, ი. ურუტაძე, მაჭარაშვილი, გ. მარგიშვილი, ლ. ბელიძე, გ. ვართაზაშვილი, თ. უგრეხელიძე, შ. ახალკაცი და მათი გაჭირვების ტალკვესი — მოლარე ლ. ნადირაძე ყველა საშუალებებით ქმნიდნენ ვაშლის მეტობას და აწარმოებდნენ მის ხელახლა ვითომ შესყიდვას „მკვდარი სულებისაგან“. ასე, მაგალითად, დამამზადებელმა თ. უგრეხელიძემ ი. ურუტაძესთან ერთად 1961 წელს, 12-15 დღის მანძილზე ვითომ ზნაურის რაიონში მცხოვრებ 220 კოლმეურნეზე გააფორმა შესყიდვის აქტები, აქედან 200 პიროვნება არარსებული „მკვდარი სული“ აღმოჩნდა, ხოლო დარჩენილმა 20-მა კოლმეურნემ გადაჭრით განაცხადა უარი, მათთვის ჩვენ არავითარი ხილი არ მიგვიყიდიაო.

იმავე პიროვნებებმა იმავე ხერხით 180 „მკვდარი სული“ შექმნეს საშურელებად და სათანადო უწყისები ჩვეული გულმოდგინებით ჩააწიკწიკეს.

საბოლოოდ ცნობილი გახდა, რომ ცალკეული კოლმეურნეებისაგან გაცილებით უფრო იაფად იძენდნენ ვაშლს და მაღალ ფასზე კი უსირცხვილოდ აწერინებდნენ ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლმა განყოფილებამ დღის სინათლეზე გამოიტანა აღნიშნულ პირთა დანაშაულებრივი ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რაიონის ხელმძღვანელობა, რატომღაც, თავგამოდებით იცავდა მათ და უკიდურეს მომენტამდე არ მოხსნა ისინი სამუშაოდან. რამდენიმე თანამშრომელი რამდენიმეჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში, მაგრამ, როგორღაც, ყოველთვის მშრალზე გამოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ ჩაატარეს იქ რევიზია და საბუღალტრო საქმეებში აშკარად ჩანს ჩადენილი დანაშაულობანი, როგორღაც ერთხელაც არ იყო შემჩნეული სიყალბე... „ცეკავშირის“ ზოგიერთი წარმომადგენელი, რატომღაც, ყოველთვის თავგამოდებით იცავდა ჯიოშვილსა და მის დამქაშებს. ალბათ, ყველაფერ ამაში „ხელი ხელსაოს“ ყოვლისშემძლეობა ერეოდა მუდამ...

ჯიოშვილსა და მის ძმა-კაცებს ქარელშივე გამოაჩნდათ მიმდევარი. ასე, მაგალითად, მატყლის დამზადების პუნქტის გამგე გ. ნახუცრიშვილმა გააფორმა ოთხი ტონა მატყლის ფიქტიური შესყიდვა, ხოლო მატყლი კი გაქრა ცასა და მიწას შორის, თუმცა, რაც არ არსებობდა ,რა უნდა გამქრალიყო.

ვაშლის დამზადებაში გაკეთებულ კომბინაციებს ამაოდ რომ არ ჩაუვლია, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლები წამოჭიმა ქარელში ზემოხსენებული პირების უმრავლესობამ.

კომბინატორი ჯიოშვილი და ძმანი მისნი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის.

ა. მელიქ-ოგანიანი.

— ექიმმა სიმღერა და ხმამაღლა ლაპარაკი ამიკრძალა!
— როგორ, შენი მეზობელია?!

საერთო შეცდომები

არიან სამშენებლო სამმართველოები და ტრესტები, არიან არქიტექტორები, ინჟინრები და სამუშაოს მწარმოებლები, ყველა მათგანს ფუნქციები განაწილებული აქვთ, მათ სინდისზეა ნაგებობათა ხარისხი და ყაირათიანობა.

როდესაც ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაიწყო, ბუნებრივია, შეიდგა პროექტი, რომლის ავტორმა, არქიტექტორმა ნადარაიამ, ფრიად წინდახედულება გამოიჩინა და გაითვალისწინა ისიც კი, თუ ვის უნდა ეცხოვრა მის მიერ დაპროექტებულ ნაგებობაში. საერთო საცხოვრებელში, რა თქმა უნდა, დაბინავდებოდნენ რაიონიდან ჩამოსული სტუდენტები, ამიტომ მათთვის საჭირო ატმოსფერო უნდა შექმნილიყო. უპირველესად, საერთო საცხოვრებელს უნდა ჰქონოდა რაიმე სოფლის მეურნეობის დეტალი. ამის გამო ნადარაიამ სახურავი ბრტყელი გადახურვით დააპროექტა, რომელზედაც უნდა დაყრილიყო მიწა, რის შემდეგაც შესაძლებლობა იქმნებოდა სახურავზე დათესილიყო კოინდარი ანდა იონჯა. თვით შენობაში კი გაკეთდა ბუხრები (ალბათ, სოფლის კოლორიტისათვის) და, ვინაიდან სოფლებში ბუხრები თანდათან ქრება, არც საერთო საცხოვრებლის ბუხრებში დევს მუგუზალი, გათბობისთვის კი ჩვეულებრივი რადიატორებია.

ალბათ, გელათის მონასტრის მოზაიკის ავტორსაც შეშურდებოდა სპორტსმენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ვეებერთელა მოზაიკა, რომელიც თავისი გონებამახვილური გადაწყვეტით იქცევს ყურადღებას: სტადიონის მოედნიდან, ღრუბლებს ზევით, მზის ზევით, აღმართულია ჭოკი, რომლის თავზედაც მოქცეულია ჭოკით მხტომელი. „გაფრენა კოსმოსში“, ასე ჰქვია ამ მოზაიკურ ნამუშევარს. რა თქმა უნდა, კოსმოსში გაფრენა საამაყოა, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ პანორამაზე დაიხარჯა ოცი ათასი მანეთი, რაც ერთი საკმაოდ მოზრდილი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხარჯის მეხუთედს შეადგენს, მართლაც, რომ გაფრენაა, მხოლოდ არა კოსმოსში.

ავჭალის გზატკეცილზე, კონიაკის ქარხნის პირდაპირ მთავართბილმშენის მეექვსე სამმართველომ სახლი ააშენა, თუკი ამას აშენება ჰქვია. ვაი-მშენებლებს გამორჩათ კარნიზის ბლოკების დაანკერება, გრძივი და განივი კედლები ერთი მეორესთან არ შეაერთეს, კიდევ კარგი, დროზე მიუსწრეს გულმავიწყ მშენებლებს, თორემ ბლოკების ჩამოვარდნის და კედლების ჩამონგრევის საშიშროება იქმნებოდა. ხელმეორედ გაკეთდა სამუშაოები, დაიხარჯა ზედმეტი თანხა.

მთავართბილმშენის მეექვსე სამმართველოს მშენებლებმა გულმავიწყობასთან ერთად უცოდინარობაც გამოიჩინეს, და საკვამლე სავენტილაციო არხები ჩაკეტეს, ასე რომ ამ სახლის მდგმურები ველარისარგებლებენ ტექნიკის მიღწევებით და ჰაერის გასაწმენდად უნდა მიმართონ ძველ პრიმიტიულ მამა-პაპათა ტრადიციულ მეთოდს, უნდა გააღონ ფანჯრები და ისე გაანიავონ სათავსოები და ოთახები.

მეექვსე სამმართველოს არც მთავართბილმშენის მეორე სამმართველოს მშენებლები ჩამორჩნენ და ბარნოვის № 128 სახლში საერთოდ გამორჩათ სავენტილაციო არხების დატანება.

თბილმშენმრეწვის ტრესტმა ლარსის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი ააგო, ალბათ, ორიგინალობით თუ მოუვიდათ მშენებლებს, რომ ფანჯრები ფასადის ნაცვლად გვერდებზე დაუტანეს. ახლა ამ გვერდზე, სწორედ იქ, სადაც ფანჯრებია დატანებული სახლი უნდა მიადგან, მშვიდობით, დღის სინათლევ, თუმცა არის გამოსავალი, ფასადის მხარეს, ფანჯრების კანონიერ ადგილას გამოინგრევა კედელი, დაიხარჯება ზედმეტი მანეთები და ერთხელ გასაკეთებელი საქმე მეორედ გასაკეთებელი გახდება.

სტუდენტთა ქალაქის საერთო საცხოვრებლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები მთავართბილმშენის მეათე სამმართველოს ჰქონდა დავალებული. მოპირკეთება დაიწყეს კიდეც, მეხუთე სართულზე დააგეს პარკეტი, მაგრამ ცოტა ხანში პარკეტი მთლიანად აიყარა, არ დაიბნენ მომპირკეთებლები და ახლა ხის იატაკი დააკრეს ზევიდან. როგორც ამბობენ, მეათე სამმართველოს საერთოდ ახასიათებს სამუშაოების უხარისხოდ ჩატარება, ალბათ, უხარისხო ხელმძღვანელობის ბრალია.

რა თქმა უნდა, დიდ გადახარჯვას არ ექნება ადგილი, თუ ამ მხრივ ჩატარდება საჭირო რემონტი.

გ. პატარიძე.

განაჩენის გამოტანამდე

საქართველოს სავაჭრო პალატის სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს საწყობი გავსებული იყო მაღაზიებიდან დაბრუნებულ-დაწუნებული საქონლის უამრავი ნიმუშით, რას არ ნახავდით იქ: ქვაბებსა და ზედადგარებს, ვედროებსა და ჩაის კოვზებს, ფეხსაცმელებს, ლაბადებს, თავსაფრებს და ვინ მოთვლის კიდევ რას, შერცხვენილნი და თავლაფდასხმულნი საექსპორტო ბიუროს განაჩენს ელოდებოდნენ და მოუსვენრად ფუსფუსებდნენ.

— შემხედეთ, ძმებო, შემხედეთ, — თავი წამოყო წელში გადატეხილმა ჩანგალმა.

— მაშ ასე შეიძლება?! მაღაზიაში გამგზავნეს, პირველ ხარისხიანად მომნათლეს, პლასტმასის ტარი წელზე შემაბეს და მითხრეს — წადი, იარე ღვთითაო, მაგრამ, ხელში აშიღეს თუ არა, შუაზე გადავტყდი და უკან სულ მუჯლუგუნითა და ლანძღვა-გინებით დამაბრუნეს.

— მერე და, შე წელმოწყვეტილო, ვინ გამოგიშვა ასე უსუსური და ბეჩავი...

— ვაი, ჩემი ცოდვა ედოს თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს № 3 მექანიკური ქარხნის მთავარ ინჟინერს ვ. მგალობლიშვილს და მეოთხე საამქროს უფროსს ტ. რაფაელიანს, როგორც მე იმათ დამტანჯეს და საქვეყნოდ სახელი გამიტეხეს.

— შენ რა გიჭირს, მეზობელო, ჩემი იკითხე, რომ სირცხვილისაგან თავი ველარ გამომიყვია, — წამოიყვირა მაჩვის ფეხივით დაგრეხილმა ზედადგარმა და ფეხზე წამოდგა. იმის დანახვაზე საწყობის დამწუხრებულ ტუსაღთა შორის ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, თითქოს სასამართლოში კი არა, ქორწილში ყოფილიყვნენ მოსულები.

— ვინა ხარ, ძმაო, რასა გავხარ, რა უშნო რამე ხარ, ხა, ხა, ხა, ხა!. — მიესივნენ სიცილით თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის № 5 მექანიკური ქარხნის მიერ გამოშვებულ ზედადგარს და სიცილ-ხარხარით ფერდები დაიზილეს.

— იცინეთ... იცინეთ... და, ახლა მე მკითხეთ, თუ მეცინება... ამას წინათ მაღაზიაში ერთმა დიასახლისმა ჩემს დანახვაზე კოპები შეიკრა, ქოქოლა მომაყარა და ისეთი სიტყვები მაკადრა, ისეთი, რომ სიმწრისაგან ცრემლები წამომცვივდა.

— მაინც რაო, რა გითხრა, მახინჯო, ისეთი?!.

— რაო და... როგორ არა გრცხვენია, შენ ჯანგამრუდებულო, თავს პირველ ხარისხიანად რომ აფასებ და დახლზე პოლორჭიკივით შემომჯდარხარო.

სიცილი ხარხარში გადაიზარდა და ხმაური აურზაურში...

— თქვენ ჩემი იკითხეთ, ჩემი! — დოინჯი შემოიყარა ქარხანა თბილგაზაპარატის მიერ გამოშვებულმა ემალირებულმა ქვაბმა და მეზობლებს გამომწვევად გადახედა.

— ალაგ-ალაგ სხვადასხვა სისქის ემალი რომ მაქვს წაცხებული, თითქოს ჩემს ძირზე ზამთარი ყოფილიყოს და გვერდებზე გაზაფხული. ჩემი დედმამიშვილები ახლაც მაღაზიაში არიან გამომწყვდეულნი და კაცი მყიდველი არა ჰყავთ.

— ეეხ... დაო, შენ რა გიჭირს, — შეეხმაურა იმავე ქარხნის მიერ გამოშვებული ვედრო, რომელსაც სახურავი თუშური ქუდივით კინკრიხოზე ჰქონდა წამომჯდარი და ბრაზიანი ძაღლივით პირი დაღებული.

— სახურავი თავზე არ მადგება და ასე დოყლაპიასავით ვდგავარ, მაღაზიების ყაფაზზე და ჩვენი ქარხნის ტექნიკური კონტროლის უფროსს კ. ბეჟუაშვილს ათას საყვედურს ვუგზავნი ჩემი ასე გაპამპულებისათვის.

— ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, მეზობლებო!

— რომელი ხარ, რომელი? — ჩასძახეს ბნელ კუთხეში მიგდებულ ტუფლებს და სინათლე მიუნათეს.

— მე ვარ, სოციუზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის სასწავლო საწარმოს მიერ გამოშვებული ტუფლები და ვგავარ მერე მე პირველი ხარისხის ტუფლს?

— აი, ისე იცოცხლე, როგორც შენ ძვირფასი ტუფლის არაფერი გქონდეს, ჭიაყელასავით გაწვრილებულო და ჩვენზე უარესად დაპრანჭულო!

— მერე მე რა ვქნა, მეზობლებო, ჩემმა უფროსებმა რომ საძირეები შეავიწროონ, ეკონომია გააკეთონ და მე დამტოვონ ქვეყნის სალანძღავად და საქოლად, მე ვარ დამნაშავე? — ყველამ მწუხარედ თავი ჩაჰკიდა დადარდიანებულ ტუფლს თანაუგრძნო.

— მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისა, — შემოსძახა უეცრად სიმღერა ვიღაცამ და მთელი ტანით ფეხზე წამოდგა.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე მახინჯო, შენც თუ სამღერადა გაქვს საქმე, მაშინ ჩვენ სალხინოდ გვქონია... ვინა ხარ, საიდან მოთრეულხარ?!

— მე ვარ, ძმებო, სამგორის რაიონის სოლანლუღის სასწავლო საწარმო წამოწყების საწვიმარი ლაბადა, — ჩაიდუდუნა ასეთი შეხვედრით ნირწამხდარმა ლაბადამ და მუხლებში ჩაიკეცა.

— მერე და რასა გავხარ, შე საცოდავო?! საყელოს გვირისტს უყურეთ, ძმებო, წყნეთის გზასავით არ არის დახლართული...

— ღილის გასაყრელები ნახეთ... ხელი დაადეთ, ხელი... ხა... ხა..

— ხელი აო ბახლოთ, ხელი, — ამოიკნავლა საცოდავად ლაბადამ და და შიშით მიწას გაეკრა.

— რაო, მზეთუნახავო, რამ შეგაშინა?!

— უბრალო ხელის მიკარებით და მცირე ძალის მიყენებით ვირღვევი, ვიშლები, ძმებო და, ნუ დამღუპავთ, მთლად ნუ მომისპობთ სიცოცხლეს... — ცნობისმოყვარენი შეჩერდნენ და ერთ ხანს საწყობში ისეთი დუმილი ჩამოვარდა, თითქოს მიცვალებულთა გამოსვენების ჟამი დამდგარიყოს.

საქართველოს სავაჭრო პალატის სასაქონლო ექსპერტიზის ბიურო მოდიოდა განაჩენის გამოსატანად.

ვ. არაბველი.

ᲙᲘᲜᲭᲠᲐᲥᲘ

ᲘᲒᲐᲕᲘ

ქვიეფში იყო ჭინჭრაქა,
დროს ატარებდა ხალისით.
ქორ-შავარდნებთან მოჩანდა
ვით მწერი შესაბრალისი.

მაგრამ მასპინძელს ქვიეფში
გულდაგულ ეკიბრებოდა,
იმათთან ერთად სვამდა და
იმათთან ერთად თვრებოდა.

— რაო? რას ამბობთ. —
იძახდა —
თქვენზე ნაკლება რითი ვარ,
სიმაღლითან ჩემზე მეტი ხართ? —
გონებით თქვენზე დიდი ვარ!

არ ჩამოგრჩებით არასდროს,
ღვინო ყანწებით მწყურია.
დამისხით, დამალევინეთ
სიტყვა მაქვს ეიკაცურია. —

ბევრი ეხვეწა მეუღლე:
— ნუ სვამ, უკვე ხარ
მთვრალია, —
ძირს გაიშოტა ჭინჭრაქა,
დახუქა ორთავე თვალია,

და სადღეგრძელოს მაგიერად
საწყალმა სული დალია...
ჭირად გადიქცა მოლხენა,
იდგა გლოვა და ზარია!

ჭინჭრაქას მსგავსნი, სუფრაზე
ზშირად სხვებს ეკიბრებიან,
რომ იმოკლებენ ამით დღეს,
ამას კი ვეღარ ხვდებიან.

პ. გოგიაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— ქალო, სულ იმპორტულ საწოლზე რომ ბოდავ, ჩვენებურ საწოლში მაცალე ძილი!

ᲓᲘᲐᲒᲜᲘᲖ

ორი დღე გააცდინა ნუნუ კაცტაძემ და დღეს ორივე ხელით წარიდგინა ცნობა:

დიაგნოზი — კატარული ანგინა.

სამი დღით „ითოსი“ ლილი არიბელიძე, გაუშვნელებინა ცნობა და მიარიგა. დღეს:

დიაგნოზი — ანგინა კატარული.

სამი დღით შემოსწერა ლექციებს ნოდარ ჩარაძეს, სამასტიოდ ჩაეთვალა გაცდენა:

დიაგნოზი — ზემო სასუნთქი გზების ანთება.

თავი მოიავადმყოფა დოდომ:

დიაგნოზი — ფოლიკულარული ანგინა.

ქორწილში იყო გიგი:

დიაგნოზი — ზემო სასუნთქი გზების კატარი.

ნიშნობაზე გაზდათ ლენა:

დიაგნოზი — კატარი ზემო სასუნთქი გზებისა.

ზაირას და ალარ იარა
ზემი — ზემო სასუნთქი
ვეკი კატარი.
ლი დრის ატარებდა
ნა:
ზეი — Angina pholicu-
ა
ბუ მიიწვიეს რიგელაძე:
ზეი — ცხვირიდან სისხ-
ა.
ცხვირიდან უნდა ავდი-
ნელი ასეი, სუფთადერდ.
ოოოოოოოა, ვაი-ექიმს ამ
ტული დიაგნოზით რომ
ენენ დანარჩენსა და დიაგ-
ნ
ომ მთაც დასჭირდებათ
ი:
ზეი — წვრილფება ყალ-
ძენი.

მ. ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ.

ᲥᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲫᲚᲝᲗ

ქ. სოხუმის ოქტომბრის ქუჩისა და მშვიდობის პროსპექტის კუთხეში მშვიდად იდგა ერთსართულიანი შენობა და შიგ სისლლის გადამსხმელი პუნქტი იყო მოთავსებული. დიახ, მშვიდად იდგა სახლი იგი. მაგრამ ერთ დღეს დაარღვიეს მისი სიმშვიდე: ქ. სოხუმის მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომმა შეისმინა ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკების დაკინებული ჯა და ნება დართო ხსენებულ სახლზე მეორე სართული დაშენებინათ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად.

ვიღრე მშენებლობა დაიწყებოდა, ქალაქის საბჭოს, წესისა და კანონის თანახმად, უნდა კეთილებება და სისხლის გადამსმელი პუნქტი სადმე დაებინავებინა, მაგრამ ამის გასაკეთებლად თავი არავინ შეიწუხა. სახლი სასწრაფოდ ჩასეეს ხარჩოებში და პუნქტმაც, მეტი რა გზა ჰქონდა, შესწყვიტა მუშაობა. მიზიდეს გაჯი, ცემენტი, კირი, აგური და გახურდა მეორე სართულის მშენებლობა.

სისხლის გადამსმელმა პუნქტმა ავბედითად რომ შეწყვიტა მუშაობა, შეწუხდნენ საავადმყოფოებში, მოაკლდათ სისხლი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მიაკითხეს სხვადასხვა რაიონს და საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქს თხოვნით, გაგვიწოდეთ მბერი დახმარების ხელი, თქვენი დონორების სისხლით მომარაგეთ ჩვენი ბეწწესიანიოცხლედაკიდებული ავადმყოფებო. ასე და ამგვარად, რის ეთ-ეგალახით გაჩქონდათ თავი და მოუთმენლად ელოდნენ იმ ნანატრ დღეს, როცა სისხლისგადამსმელმ პუნქტს ქალაქის საბჭო ისევ შეიფარებდა რომელიმე ქერქვეშ.

ზემდგომი ორგანოების ქმედითმა ჩარევამ, ხუთი თვის დაგვიანებით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოიღო ნაყოფი. გამოენახა სათანადო ბინა პუნქტს და სოხუმელმა დონორებმაც ისევ გიიხსენეს თავიანთი კეთილშობილური საქმე.

ამსობაში დასრულდა მეორე სართულის მშენებლობა, სახლმა ერთ მშვენიერ დღეს ხარაჩოები რომ მოიძარა და ახალი ბინის ორდერებით გაბედნიერებული მუშამოსამსახურეები ბარგი-ბარხანით დატვირთული მანქანებით მოადგნენ, აღმოჩნდა, ბინერელი სართულიც საცხოვრებელ ბინებად გადაეცინათ.

როცა ქ. სოხუმის ცენტრალურ ორგანიზაციებისათვის ბინის გამონაცხვი ერთიმეე პრობლემადაა გადაქცეული, საკითხავია, ვისმა ტექტეტორულად განთავლებულმა გონებამ დასცა ... სახლის პირველი სართული საცხოვრებელ ბინებადეეკეთებინაო, იკითხავთ თქვენ და, შეიძლებამ დასძინოო, სად იყო ამ დროს ქალაქის საბჭოს არქიტექტორის განყოფილების უფროსი ინჟინერ-ინსპექტორული არსენის-ასული ბურჭულაძე, რომლის მოვალეობა სახელმწიფო არქიტექტორული მშენებლობის ... როლი შეადგენსო. ამ კითხვას თქვენ მით უფრო ... დასვამთ, თუ თვალყური ვიდევნებიათ, რა ... ოლოს არსენის ასული ამ მშენებლ... რა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მის ... , როგორ დასტრიალებდა თავზე მას.

ყველაფერ ამას ,ჩემი მეგობარ, მაშინვე მოეფინება ნათელი, თუ მოგგონებთ, ... პატივცემული ქალბატონი არქიტექტორის ... ენის ასული ბურჭულაძის პატივცემული მეუღ... ... ოველევი სწორედ ავტოსატრანსპორტო კანტორ... ... ანამშრომელია და მან ხსენებულ სახლში სამოთახ... ... ნა მიიღო.

ჩვენ შორსა ვართ იქიდან, ... თქმა რომ გვინდოდეს, ესაო და ამბ. ბურჭულაძე ... არქიტექტორიაო, მაგრამ მისი საქციელი ... ავითარ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, ეს ცხადია. თავ... ... ირადი ინტერესები საზოგადოებრივ ... ინტერესებზე არ უნდა დაეყენებინა და მის მიერ სამსახურებ... ... მდგომარეობის, თუ ბორტოდ არა, არასწორად ... ყენებისათვის ქალაქის საბჭოსაც არ უნდა წეიყრუებ...

დიახ, ასეა, პატივცემულო ... ... ტექტორო, თქვენს საქციელს ფასადი არ უვარგა.

Ო. ᲑᲔᲠᲬᲐᲫᲘᲐ

ნახ. გ. ფირცხალავისა

— ამ უსაქმურებს ვერაფერი მოვუხერხე, თორემ ნაგავს არ ვტოვებ ქუჩაში!

ᲝᲥᲠᲝ ᲡᲘᲫᲔ

სოფელში ღამეა.
— დავიძინოთ, მანუჩარ, თორმეტი ნაათია.
— რა დამაძინებს, ამ ზამთარში ამ ბალნებს ერთი პურავკაბ, ორი ინდაურისა და ერთი ჩაფი ღვინის მეტი ვერ ვიკუჭაავეთ!
— კარგი ახლა, ადამიანო! აგერ არაა ლორი, სუდლეენი და კუპატენი? დაგამატო მანდარინები და ჩიტრბელები და გაკუჭაავენოთ...
— სიტე, ჩემი ვიოკაცი სიძე! მაინი ჭირიმე!..
— ჩვენ ნაოესავთან გადავიდეთ, ეს სახლი გაკეიდოთ და ჩვენს ოქრო სიძეს „ოოსკეიტი“ ვუუიდოთ!

თბილისში ღამეა.
— ეორმრი, დაიძინე, ტრიბტან, თორმეტი ნაათია.
— რა დამაძინებს! რა ეანდაბად მინდოდა ეს ლორი და დამბრრეული ინდაურეტი.
— ეხეპაიე კი ეკვე კოეეი ხედეერი, მაგრამ „ეარინნბაბ“ არ ეინაბილ...
— ეირალეთ ტრატ ტუფლები ბინდა ეშილეკებზე და ინტერმობილე ეპლეშრი.
— ეიბადნოო ღლეს ბაეიდი. ოლინდ ინოოდ, ეენმა ბებიამ „ეოსკეიტი“ არ ეკამაკეინოს, „ეეოლეკ“ ბინდა.
— ეოშეეეეეი ტრი ეშეკეიტრა, ეეეკამეერინნ ან არაბსკი ფილმი, კინოიკეტს რო ხეკეშენ.

Ძ. ᲥᲐᲚᲐᲠᲯᲘ.

ნახ. Ჯ. ᲚᲔᲚᲣᲨᲐᲜᲘᲡᲐ

— რა დაგემართა, ამ ბოლო დროს, მაგიდაზე რომ იძინებ?
— სამსახურში შევეჩვიე მაგიდაზე ძილს!

ᲓᲘᲠᲔᲥ-ᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ

დირექტორთან მუშა შემოვიდა.
— ბატონო, მთავარი ბუღალტერი მხედველობაში არ იღებს ნორმების გადაჭარბებით შესრულებას და პრემიას მხოლოდ ძირითადი ხელფასიდან მაძლევს.
— დამიძახეთ ბუღალტერს.
შემოდის მთავარი ბუღალტერი.
— ამსანაგო, თქვენ არ ითვალისწინებთ ნორმების გადაჭარბებით შესრულებას და ამ კაცს პრემიას ძირითადი ხელფასიდან აძლევთ.
— ეს კაცი არ არის სწორი.
— გენაცვალე, თქვენ არ ყოფილხართ სწორი.
— პატივცემულო დირექტორო, მაგას, რაც ეკუთვნის, ვაძლევთ, მეტი რა უნდა!
— ამხანაგო, თქვენ რაც გეკუთვნინ, იღებთ, მეტი რა გინდათ.
— სწორედ მაგას ვჩივი, ბატონო, რომ ვერ ვიღებ.
— სწორედ ამას ჩივის ეს კაცი, რომ ვერ იღებს.
— ბატონო, ამ საკითხზე არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგენილება. ამ დადგენილებით მას ნორმის გადაჭარბებით შესრულებისათვის არ ეკუთვნის.
— ამხანაგო, არსებობს თურმე დადგენილება, რომლის თანახმად თქვენ არ გეკუთვნით.
— კი ბატონო, მაგრამ მაგ დადგენილების შემდეგ გამოსული ახალი დადგენილებით ხომ მეკუთვნის?
— არა, ბატონო, ეს ახალი დადგენილება მასეთი კატეგორიის ხალხზე არ ვრცელდება.
— ამხანაგო, ეს ახალი დადგენილება შენი კატეგორიის ხალხზე არ ვრცელდება.
...ეჰ, თქვენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა, — ჩაიქნია ხელი მუშამ და გარეთ გავიდა.

ᲬᲐ. ᲛᲘᲠᲐᲙᲘᲚᲐᲫᲔ.

როხროხა

კარგად აცვია როხროხას,
ზრდილობიანი კაცია —
შემომხვდა, მკითხა: — როგორ
ხარ?
და უცბად ზურგი მაქცია.

პასუხი ვეღარ მოვასწარ,
შუა ქუჩაში შევჩერდი,
ყელში ნაღველი მომაწვა,
დავიბენ, როგორც ჩერჩეტი.

ძლივს გამახსენდა, რომელ
წელს
შემოვვლეთ ერთად სვანეთი;
„კარგი იქნება, რომ მომცეს
ჩემი სამოცი მანეთი“.

როხროხა ფართო პროსპექტის
ხეებსაც სალამს აყრიდა,
ესწავლა ვარდად მოწყვეტილ
ღიმილის ფულად გაყიდვა.

გამოულევად იცოდა
ანეგდოტები ახალი
და მთელ ქალაქში ისმოდა
მისი როხროხა ხარხარი.

გულში წამომცდა გინება
მისი სინდისის, კაცობის...
ამ დროს როხროხამ ინება
მოკითხვა ვიღაც ნაცნობის.

— ოჰ, გამარჯობა, მიხეილ,
წუხელის აქეთ რას შვრები?
სახლში ხომ ფხიზლად
მიხველი?
როგორ დაგიხვდნენ ბავშვები?

მოხუცი მამა როგორ გყავს?
ხვალ ახალ წელში შევალთ ყე?
მაგრამ ნაცნობი როხროხას
ყურს არ უგდებდა, შევატყე.

მას რისხვა აჩნდა სახეზე,
ბოლოს შესძახა: — შემეშვი!
შარშან რომ ფული გასესხე,
მჭირდება მამის ქელეხში.

როხროხამ ცივად გამოსცრა:
— სხვა არაფერი არ გინდათ?
და მე გავწითლდი საოცრად,
ჩემი ნაცნობის მაგივრად.

მოსწყდა მოსაწყვეტ ღილივით
როხროხა თავის თანასწორს,
ვიღაცას უთხრა ღიმილით:
— მრავალ ახალ წელს
დაგასწროს!

სალამი, ჩემო ლონგინოზ,
როგორ ბრძანდები, რას
შვრები?
ისევ წუნობენ ლობიოს
შენი პაწია ბავშვები?

სწორედ გუშინდელ გაზეთში,
მეოთხე გვერდზე წერია,
თურმე ლობიოს აბებში
„ცე“ ვიტამინი ბევრია.

როხროხას ნახვა არაფრად
არ ეჭაშნიკა ლონგინოზს:
— დილაადრიან კარაქად
რისთვის ასაღებ ლობიოს?

რად გინდა ლათაიები,
მანეთს გაჩუქებ, თუ გშია,
შენ იცი, ვიტამინები
ჩემგან ნასესხებ ფულშია.

დადიხარ პირშერცხვენილი,
ვალი გაქვს ორი წელია,
მე შენთვის თხოვნის წერილი
რამდენჯერ მომიწერია?

შენს ცოლ-შვილს კაცი
ჰგონიხარ,
კაცი კი არა, ღორი ხარ.

არც შერცხვა, არც კი
გაწითლდა
ზრდილობიანი როხროხა,
ლონგინოზს ცივად გასცილდა,
ვიღაცას ჰკითხა: — როგორ
ხარ?

ახალ ნაცნობის წინაშე
შედგა ვით მონა-მორჩილი,
ჰკადრა: ჩაწერე ბინაში
შენი ახალი ცოლ-შვილი?..

თან ყალბი ოხვრით აღმოხდა
მალამოდქცეულ როხროხას:
— ოჰ, მომიტევეთ რაც მოხდა,
ავად ვიყავი ბოლოხანს.

— შენ მპირდებოდი, რომ მალე
გადაგიხდიო — სამ დღეში! —
თქვა და ნაცნობმა მევალეს
რაღაც აკადრა სახეში.

განა გაკენწლა სინდისმა,
როხროხა განა გაწითლდა
და სითხე სხვისი პირისა
ჩამოიწმინდა ლაწვიდან.

სიბრაზემ ლამის გამგუდა,
მათ ახლოს აღარ შევჩერდი,
შემთხვევამ დამისაბუთა,
რომ მეც ვყოფილვარ ჩერჩეტი.

— დე ჰქონდეს ჩემგან
სახსოვრად! —
ვთქვი და დავკარგე იმედი,
ჩემივე ფულის სათხოვრად
ნაცნობთან ველარ მიველი.

ბასკანჩელი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— დეიდა ქსენია, რატომ მაცივარს არ ყიდულობთ?
— შვილო, ჩემი ბელტიყლაპია ბიჭები გაციებას აცლიან საჭმელს?!

მინიატიურები

— როგორ ფიქრობ, სულხან ჩემო, მომავალ სეზონში რომელ ადგილზე გავა ჩვენი ფეხბურთის გუნდი?
— კაი ძნელი თერთმეტუცნობიანი ამოცანაა, ჩემო ძმაო.

— : —

— ძია, რა ღირს რვა ნომერი ღვინო? — ეკითხება ბიჭი გამყიდველს.
— ვის უნდა?
— მამას.
— მერე, შენ რომ გამოგგზავნა, რას ფიქრობს, ბავშვებისათვის დაკლებულ ფასებში ვყიდი?

— : —

— რას იტყვი, მეხუთე სართულზე ასვლა უფრო ძნელია, თუ იქიდან ძირს ჩამოსვლა?
— შენ რომელი გიჭირს, მითხარი და თანაგრძნობისათვის მზად გახლავარ.

ნანა კანდელაკი.

მილებაზე

— არ შემიშვებთ მმართველთან?
— მთელი წელია დადიხართ... ისეთი რა სათხოვარი გაქვთ?
— უბრალო რამე: კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და არასოდეს არ დამჭირდება მასთან მოსვლა.

კინომოყვარული

— ბარაქალა, რომ ცოლი ყოველ საღამოს კინოში დაგყავს!
— მიყვარს ხმოვანი კინო: ცოლი გვერდით გიზის და მაინც მთელი საათნახევარი მისი ხმა არ გესმის.

დამხმარე

ერთმა სტუდენტმა თავის დედის სამსახურში დარეკა:
— იცით რა, დღეს მე ინსტიტუტში ჩათვლა მაქვს და დედას სამსახურისთვის არ ეცლება.

ა. ბასილაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები ნიანგს

ძვირფასო ნიანგო!

ჩვენ, საქჰიდრომშენის საცხოვრებელი სახლის მცხოვრებლები გაწუხებთ. ტაშკენტის შესახვევი № 5 სახლის პირველ სართულზე ვცხოვრობთ. ჩვენს სართულს საცხოვრებელი ქვია, თორემ, სინამდვილეში, აქ ცხოვრება მეტად ძნელია. 10 ოჯახი ვცხოვრობთ ერთად და საერთო სამზარეულოთი ვსარგებლობთ. სამზარეულოში ზედა სართულებიდან წყალი ჩამოდის. ასევე საპირფარეშოშიც. მინები ჩამტვრეულია და, მის ნაცვლად, მუყაოს ნაჭრებია აფარებული. ბევრჯერ ვთხოვეთ საუწყებო სახლის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქციეს. იქნება თქვენ მაინც დაგვიხსნათ ამ გასაჭირისაგან.

მცხოვრებთა სახელით:

ქავთარაძე,

ტიანდაფილოვი და სხვები.

ძმაო ნიანგო!

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე კ. ა. ბერიძე გაწუხებ და დახმარებას გთხოვ. მინდა ჩემი გაჭირვება გაგიზიარო. სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ მე და ჩემმა ორმა მეზობელმა ახალი ბინები მივიღეთ. გახარებულებმა ბევრი ვიმხიარულეთ, ვიმღერეთ, მაგრამ „ქუდი ჰერსა ჰკრესო" რომ იტყვიან, ეს კი არ გამოგვივიდა, რადგან ჩვენს ბინას არც მაშინ გააჩნდა სახურავი და არც ახლა გააჩნია. ვის არ მივმართეთ ამის შესახებ, ვინ არ შევაწუხეთ. მას შემდეგ ბევრმა წვიმამ დაგვაწვიმა თავზე, მაგრამ ჩვენი ბინის სახურავს ვერაფერი ეშველა. ჩემო ნიანგო, თორმეტი წელია მემანქანედ ვმუშაობ, ბევრი ტვირთი გადამიტანია და გადამაქვს კიდევაც ერთი ადგილიდან მეორეზე. იქნება იმ ადამიანებმა, რომლებსაც ჩემი ბინის სახურავის გაკეთება ევალებათ, თანაგრძნობა გამიწიონ თქვენი შუამდგომლობის შემდეგ.

კ. ბერიძე

რკინიგზის ქ. № 12 მცხოვრები.

ძვირფასო ნიანგო!

შენ ალბათ ჩვენზე უკეთ იცი, რომ ადამიანს ბევრი რამ სჭირდება. ამჟამად ჩვენ, ქვემო ვეძისის მცხოვრებლებს, ყველაზე უფრო ავტობუსის გაჩერება გვჭირდება, რადგან არსებული გაჩერებიდან მეტად შორს ვცხოვრობთ. ჩვენც დაიმედებულებმა, რომ ეს საკითხი უბრალოდ გადაწყდებოდა, მივმართეთ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და გასული წლის 25 მაისს პასუხიც მივიღეთ: „ვინაიდან ჩვენს ავტოკოლონას ამჟამად ავტობუსების გაჩერების ნიშანი არ მოეპოვება, № 27 და № 43 — მარშრუტების ავტობუსების შოფერებზე გაცემულია მითითება სამხედრო გზატკეცილზე № 82 სახლის წინ გააჩერონ ავტობუსები მგზავრების მოთხოვნის შემთხვევებში, როგორც ავტობუსიდან ჩასვლისას, ისე ასვლისას". ამ პასუხით გახარებულებმა ავიღეთ სიტყვიერი ნებართვა, ჩვენ თვითონ გავაკეთებინეთ ავტობუსების გაჩერების ნიშანი, ისეთი რომ ავ თვალს არ შეეხედებოდა. მაგრამ ჩვენმა ბედნიერებამ მცირე ხანს გასტანა. ინჟინერმა ლ. ჯანაშვილმა ავი თვალით შეხედა ჩვენს მიერ მოწყობილ გაჩერების ნიშანს, ამოაძრობინა იგი და დღემდე არ ვიცით თუ საით გადამალა, ვის არ მივმართეთ მას შემდეგ, ავტოკოლონის უფროსს გახოკიძეს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ქ. თბილისის საბჭოში არსებულ საგზაო სატრანსპორტო ინსპექციას, საქმეში ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოც კი ჩაერია, მაგრამ მიღებული პასუხებიდან ჩანს, რომ ყველა ზემოხსენებული ორგანიზაცია ზერელედ მოეკიდა ჩვენს განცხადებას და უსაფუძვლო უარით გვიპასუხა. მას შემდეგ თითქმის წელი გავიდა და ვდგავართ ჩვენ, ქვემო ვეძისელები უმწეოდ აშვერილი ხელებით და მოწყალებასავით ვითხოვთ ავტობუსის გაჩერებას. იქნება, ჩვენო ნიანგო, შენ მაინც დაგვეხმარო ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის განხორციელებაში.

ქვემო ვეძისელთა სახელით

ვ. შარვაძე

ჩვენო ნიანგო!

ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის მცხოვრებლებს ორი წლის წინათ შუქი გამოგვიყვანეს. ელექტროდენმა წისქვილიც აამუშავა და ჩვენს სიხარულსაც საზღვარი არა აქვს, მაგრამ ერთი ავტობუსიც რომ დაენიშნათ ჩვენთვის, მაშინ კი დასამდურებელი არაფერი გვექნებოდა... თუმცა არც კინოსურათებზე ვიტყოდით უარს. საქმე ისაა, რომ რაც კინომექანიკოსი რ. კაპანაძე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, მას შემდეგ კინოს ყურებას გადავეჩვიეთ ფლეველები. ახლა თქვენი იმედი გვაქვს.

ფლეველების სახელით

ჯ. ჯელაძე

ძვირფასო ნიანგო!

ჩვენ, ჩარგალის ქ. № 49-ში მცხოვრებლებს, მეტად გვაწუხებდა გათბობის სეზონის მოახლოება, მაგრამ მობინადრეთა კრებაზე სახლმმართველობის წარმომადგენლებმა დაგვამშვიდეს, უყურადღებოდ არ დაგტოვებთო. მართლაც დაიწყო საქვაბის კაპიტალური შეკეთება. იგი ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, მოგვარდა აგრეთვე წყლის საკითხი, მოიტანეს ნახშირი და სეზონიც დაიწყო. მაგრამ საქვაბემ ნორმალურად მხოლოდ ორ დღეს იმუშავა.

ჩვენო ნიანგო! ახლა ჩვენ საქვაბეს დიდი ბოქლომი ადევს და ჩვენი სიხარულიც მწუხარებით შეიცვალა. იქნება გვირჩიო რაიმე.

ჩარუნაშვილი

ბეჟანოვი

სტეფანოვი

ნახ. ვ. შუმბურიძისა

3 44 26/1 63

— როდის მორჩები უსაქმოდ ხეტიალს?
— ოთხნი მსახურობთ და ერთი ვერ უნდა შემინახოთ?

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 16/I-1963 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 14, უე 03114 ტირაჟი 40.000

Н и а н г и
ИНДЕКС 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები ჟენევაში სჯერდებიან მხოლოდ ხოტბად ფრაზებს განიარაღების შესახებ, ხოლო ნატოს საბჭოსა და დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო შტაბებში, პირიქით, ადგენენ შეიარაღების სულ უფრო გაძლიერების ხუთწლიან, შვიდწლიან და სხვა გეგმებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჟენევის თათბირზე წარმოთქმული დამამშვიდებელი სიტყვების აკომპანემენტით წარმოებს ომისათვის დაჩქარებული მზადება.

(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხიდან გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კითხვებზე)

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი.